დღეის მდგომარეობით, ბენეფიციარი მესაკუთრის ცნება რამდენიმე კანონში გვხვდება, რომელთაგან თითოეული განსხვავებულად განსაზღვრავს ამ კონცეფციას: „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ბენეფიციარ მესაკუთრეს, როგორც კომპანიის მინიმუმ 25%-ის წილის მფლობელს. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი ბანკებს ავალდებულებს, გაასაჯაროონ თავიანთი ბენეფიციარი მესაკუთრეები. ეს კანონი ბენეფიციარ მესაკუთრედ განსაზღვრავს პირს, რომელიც ბანკის აქციების მინიმუმ 10%-ს ფლობს. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი მაუწყებლებს ავალდებულებს, გაამჟღავნონ ბენეფიციარი მესაკუთრეები.

კანონში მფლობელობის მინიმალური ზღვარი არ არის მითითებული.

სამივე კანონით, ბენეფიციარი მესაკუთრის ცნება მოიცავს, როგორც პირდაპირ, ისე ირიბ მფლობელობას (კონტროლს), რაც მნიშვნელოვანია, თუმცა, ეს უკანასკნელი, სხვადასხვა კანონით, განსხვავებულად არის განსაზღვრული. ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შესაქმნელად სამართლებრივი საფუძვლების მომზადებას სჭირდება ერთიანი სტანდარტის დადგენა, თუ რას ნიშნავს ბენეფიციარი მესაკუთრე, იდეალურ შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს კომპანიის წილის ქვედა ზღვარი, რომელსაც ფლობს პირი და რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ.

## საქართველოს სამეწარმეო რეესტრი

საქართველოს აქვს სამეწარმეო რეესტრი, რომელიც ღიაა და გამოსაყენებლად უფასოა. სამეწარმეო რეესტრი მინიმალურად არის შეზღუდული კონფიდენციალობის წესებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის უზრუნველყოფს წვდომას კომპანიის ყველა დირექტორის, წილის მფლობელის (გარდა სააქციო საზოგადოებების) და გამგეობის წევრების სახელებზე და საიდენტიფიკაციო დოკუმენტებზე. ეს საქართველოს სამეწარმეო რეესტრს გარე ანტიკორუფციული მონიტორინგისთვის უაღრესად სასარგებლოს ხდის. რეესტრი ასევე უზრუნველყოფს წვდომას ყველა დოკუმენტზე (სკანირებულ ფორმატში),


რომელიც წარმოდგენილია ფიზიკური პირების მიერ კომპანიის დაარსების ან წილებისა და მენეჯმენტის ცვლილებების რეგისტრაციის დროს. ეს დოკუმენტები, უმეტეს შემთხვევაში, შეიცავს ინფორმაციას ქართული კომპანიების საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ, რომელთა საკუთრების ჯაჭვი მიდის სხვა იურისდიქციებში; თუმცა, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ხელით ძიების გზით.

My.gov.ge


შესვლა




მთავარი > ძირითადი სერვისები



მიმოსწავრა საჯარო უწყებებთან



დაბადების და ბარდაცვალების მოწმობები



უძრავი ქონების რეგისტრში განაცხადების ძებნა



მენარმეორული ჰირების განაცხადების ძებნა



ელემენტარული დოკუმენტების მიწოდება



გიომეტრიული პასპორტის განმეორებითი გაცემა



საქართველოს წმინდისთა პალატა

სანოტარო გიურები



ჰირადობის ელემენტარული მოწმობა (განმეორებითი)

საქართველოს სამეწარმეო რეესტრი

## ინფორმაციის გასაჯაროებასა და გადამოწმებასთან დაკავშირებული გამოწვევები

საქართველოში უკვე არსებობს ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გასაჯაროების გარკვეული პრაქტიკა. მაუწყებლები, ბანკები და მსხვილი კომპანიები ვალდებულნი არიან, გაამჟღავნონ თავიანთი ბენეფიციარი მესაკუთრეები. თუმცა, თითოეულ ამ შემთხვევაში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფორმით, ერთიანი რეესტრის გარეშე. მეორეს მხრივ, არასაჯარო ინფორმაცია საბოლოო

მესაკუთრეებზე გროვდება სპეციალიზებული ინსტიტუტის მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნით, მაგრამ ეს ინფორმაცია საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. საჯარო ინფორმაციის შემთხვევაშიც კი, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს არ გააჩნია კომპანიების მიერ საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ გასაჯაროებული ინფორმაციის გადამოწმების ოფიციალური მექანიზმი.

## რეკომენდაციები

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უკვე აქვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული სამეწარმეო რეესტრი, სადაც მნიშვნელოვანი მოცულობის და დეტალური ინფორმაცია კომპანიების მფლობელობასთან დაკავშირებით უკვე ხელმისაწვდომია, მიზანშეწონილი იქნება არსებულ რეესტრს დაემატოს ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ და არ დაიხარჯოს რესურსები. ახალი სისტემის შესაქმნელად.

საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების ერთიანი რეესტრის შექმნის ფუნქცია საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უნდა აიღოს, რომელმაც, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, უნდა შეიმუშაოს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის ზოგადი განმარტება, გააერთიანოს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ არსებული ინფორმაცია (ბანკები, მაუწყებლები და მსხვილი კომპანიები) და მოახდინოს მისი ინტეგრირება სამეწარმეო რეესტრში. უცხოური კომპანიების საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ რეესტრის შესავსებად, საჯარო რეესტრმა უნდა მოსთხოვოს ნებისმიერ უცხოურ კომპანიას, რომელიც საქართველოს სამეწარმეო რეესტრში კომპანიას დაარეგისტრირებს, ან ყიდულობს წილს არსებულ კომპანიაში, როგორც სარეგისტრაციო განაცხადის მიღების წინაპირობა, გაამჟღავნოს მისი საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე, შესაბამისი საბუთების წარდგენით. ამის შემდეგ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა აისახოს, როგორც კომპანიის მეწილეთა ამონაწერში, ისე ღია ფორმატში.


ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნისას, თავდაპირველად, ყველა კომპანიას, რომელსაც უცხოელი მფლობელი ან მეწილე ყავს, უნდა მოეთხოვოს გაიაროს ერთჯერადი პროცედურა მათი საბოლოო მესაკუთრეთა გასამჟღავნებლად. თუმცა, ამის შემდეგ შესაძლებელია, რომ ეს პროცედურა მხოლოდ მაშინ იყოს საჭირო, როცა კომპანია

ითხოვს სამეწარმეო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას. იმ კომპანიებს, რომლებიც სამეწარმეო რეესტრში არსებულ ინფორმაციას იშვიათად ცვლიან, უნდა მოეთხოვოთ წელიწადში ერთხელ განაახლონ ინფორმაცია მათი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ. ცალკე პროცედურა უნდა შეიქმნას სააქციო საზოგადოებებისთვის. ამჟამად განახლებული ინფორმაცია საქართველოში არსებული სააქციო საზოგადოებების აქციონერების შესახებ საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. საჯარო მხოლოდ აქციების განაწილება და აქციონერთა ვინაობა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტში. რეგისტრაციის შემდეგ აქციონერთა ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება კერძო რეგისტრატორების მიერ, საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულების გარეშე. მაშასადამე, სააქციო საზოგადოებების აქციონერების შესახებ ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს და საჯარო გახდეს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების ერთიანი რეესტრის ფარგლებში. სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში ასევე აუცილებელია აქციონერთა ხმის უფლების შესახებ ინფორმაციის მითითება.

საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის პროცესში შეძლებისდაგვარად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტი (Beneficial Ownership Data Standard).

# სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში

საქართველოს აქვს ცენტრალიზებული, გამჭვირვალე ონლაინ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რომლის გამოყენების ვალდებულებაც აქვს ქვეყნის ყველა შემსყიდველს; ქალაქებში დაფუძნებული შესყიდვები აკრძალულია. ყველა სატენდერო პროცედურა ტარდება ციფრულად, ავტომატიზებული წესით, ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით, ხოლო პირდაპირი შესყიდვის ხელშეკრულებები სისტემაში პოსტ ფაქტუმ იტვირთება.



საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი პლატფორმა

სისტემას მართავს სპეციალური ორგანო - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელსაც ასევე აქვს ძლიერი შიდა მონიტორინგის მექანიზმი შესყიდვების წესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, არსებობს დამოუკიდებელი დავების განხილვის საბჭო, რომელიც განიხილავს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს, რომელთა წარდგენა შესაძლებელია ონლაინ, შესყიდვების პლატფორმის მეშვეობით. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა სახელმწიფო შესყიდვების მთელი ციკლის გამჭვირვალობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს, კერძოდ, ყოველწლიური

შესყიდვების გეგმები, სატენდერო დოკუმენტაცია, პრეტენდენტთა ვინაობა, მათი სატენდერო წინადადებები და თანმხლები წარმოდგენილი დოკუმენტები, სატენდერო კომისიების გადაწყვეტილებები და ხელმოწერილი ხელშეკრულებები თავისუფლად არის ხელმისაწვდომი. თუმცა, შესყიდვების ციკლის საბოლოო, განხორციელების ფაზაში გამჭვირვალობის ნაკლებობაა.

## მოძველებული სისტემა და ღია მონაცემების ნაკლებობა

ასეთი ღია სახელმწიფო შესყიდვების სისტემა უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის საჯარო ზედამხედველობისთვის, რასაც აქტიურად იყენებს ადგილობრივი მედია და ანტიკორუფციული აქტორები. თუმცა, მიუხედავად ამ გამჭვირვალობისა, ძალიან მაღალია რისკი იმისა, რომ საჯარო სახსრები პრობლემურ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებთან აღმოჩნდეს.

ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სისტემა უკვე ათწლეულის განმავლობაში სტატიკურია, რაც საშუალებას აძლევს კორუმპირებულ აქტორებს, იპოვონ გზები სისტემის გარშემო კორუფციული გარიგებების დასადავად და განსახორციელებლად. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებზე სახელმწიფო ზედამხედველობის მთავარი პრობლემა არის ის, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არ ჰქონია ნება, სრულად დაენერგა „ღია

კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტი“, რითაც, „გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისის“ - ე.წ. API-ის მეშვეობით, დაინტერესებულ მხარეებს სრულ წვდომას მისცემდა შესყიდვების აგრეგირებულ, ნელ მონაცემებზე. ასეთი წვდომა საჭიროა შესყიდვების დიდი რაოდენობის ეფექტიანი მონიტორინგისთვის, რომლებიც ყოველდღიურად მუშავდება.

## ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობა გამჭვირვალობის გასაზრდელად

ახლახან, ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად, განახლდა კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. ახალი კანონი ძალაში 2025 წლიდან შევა და აღმოფხვრის ზოგიერთ არსებულ ხარვეზს, მაგალითად, ქვეკონტრაქტების გამჭვირვალობის

მოთხოვნით და შავ სიაში შეყვანის პროცედურის გამკაცრებით. როგორც ამ პროცესის ნაწილი, სახელმწიფო შესყიდვების ონლაინ პლატფორმა ასევე გადის არსებით განახლებას, თუმცა, დეტალები, თუ რას გულისხმობს ეს, არ არის საჯარო.

## რეკომენდაციები

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში კორუფციული რისკების შესამცირებლად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაა საჭირო.

უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სრულად უნდა დანერგოს „ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტი“ და, ღია API-ს მეშვეობით, უზრუნველყოს სრული წვდომა საჯარო შესყიდვების ნელ მონაცემებზე. გარდა ამისა, გამჭვირვალობის მოთხოვნა ასევე უნდა მიესადაგებოდეს ბაზრის კვლევის შედეგებსა და კონტრაქტის განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. განსაკუთრებით პრობლემურია ბოლო წლებში დიდ საერთაშორისო დონორთა დაფინანსებით გაფორმებული ხელშეკრულებების გამჭვირვალობის ნაკლებობა. ვინაიდან საერთაშორისო საინვესტიციო ბანკები არ ითხოვენ მათი დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული კონტრაქტების გამოქვეყნებას, ეს საკითხი საქართველოსთვის, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის უმაღლესი ეროვნული სტანდარტი აქვს, პრობლემური იყო. საქართველომ უნდა მოძებნოს გზა, რომ მოითხოვოს ამ კონტრაქტების გასაჯაროებაც. უნდა მოგვარდეს რამდენიმე საჯარო დაწესებულების პრობლემა, რომელიც უარს ამბობს გამჭვირვალობის რეგულაციების შესრულებაზე და არ ტვირთავს ხელშეკრულებებს.

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ რეგულაციები უნდა განახლდეს, რათა შემცირდეს საჯარო დაწესებულებების მიერ გარკვეული შესყიდვების სახელმწიფო საიდუმლოებად გამოცხადების შესაძლებლობა. დაბოლოს, კომპანიებს, რომლებიც უარს იტყვიან თავიანთი საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჟღავნებაზე, ისევე როგორც კომპანიებს (ან მათ მფლობელებს), რომლებიც ექვემდებარებიან საერთაშორისო სანქციებს, უნდა აეკრძალოთ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღება.

# ბენეფიციარი მესაკუთრეობის გამჭვირვალობა სლოვაკეთში

სლოვაკეთის რესპუბლიკა, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მოქცეულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობისა და, შესაბამისად, ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციის შესახებ საერთო ჩარჩოში. ეს ჩარჩო ძირითადად მოიცავს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ რიგ დირექტივებს, რომელთა შორის უახლესია (V. AML დირექტივა (EU) 2018/843), რომელსაც ცვლილებები შეაქვს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 30 მაისის დირექტივაში ((EU) 2015/849) ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით ფინანსური სისტემის გამოყენების პრევენციის შესახებ და დირექტივებში 2009/138/EC და 2013/36/EU.



ამ კანონმდებლობის უპირველესი მიზანია, ტერორიზმის და სხვა უკანონო საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყენებული ფულადი ნაკადების მიკვლევა. ამ არასასურველი მოვლენების მიმართ მიდგომა მოცემულია დირექტივაში IV. AML, რომელიც ფოკუსირებულია ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან

დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაციაზე, გააზრებაზე, შემცირებასა და პრევენციაზე. ევროკავშირის უახლესი კანონმდებლობა მიზნად ისახავს, გააფართოოს დაფარვის არეალი მანამდე ხელუხლებელი სფეროების ჩათვლით, როგორცაა ვირტუალურ ვალუტებთან დაკავშირებული სერვისები.<sup>1</sup>

## საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეობის განმარტება

სლოვაკეთის რესპუბლიკის კონტექსტში, ევროპული კანონმდებლობა ტრანსპონირებულია ნომერი 297/2008 Coll. აქტით დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებისგან დაცვის შესახებ.

ეს კანონმდებლობა მოიცავს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეობის ყოვლისმომცველ განმარტებას, რომელიც მოცემულია მუხლში 6a, და რომელიც განასხვავებს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციას იმისდა მიხედვით, არის თუ არა იგი იურიდიული პირი, ფიზიკური პირი – მეწარმე თუ აქტივების

მმართველი ასოციაცია. მარტივად რომ ვთქვათ, საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც შესაბამისი სუბიექტის ეფექტურ კონტროლს ახორციელებს, ფლობს ხმის უფლებას, ეკონომიკური სარგებელის ან შემოსავლის მინიმუმ 25%-ს, ან სხვაგვარად ახორციელებს კონტროლს სუბიექტზე.

## იურიდიულ პირთა რეესტრი

საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია დოკუმენტირებულია იურიდიული პირების, მეწარმეთა და საჯარო უწყებების რეესტრში

(შემდგომში „იურიდიული პირების რეესტრი“, ხელმისაწვდომია: <https://rpo.statistics.sk/rpo>). რეესტრი უზრუნველყოფს წვდომის ორ რეჟიმს - პირველი, სისტემაში შესვლის საშუალებით, რომელიც იძლევა გაფართოებულ ძიების შესაძლებლობებს და განცხადების მოთხოვნის წარდგენას, ხოლო, მეორე, შესვლის გარეშე, ფართო საზოგადოებისთვის უზრუნველყოფს თავისუფალ წვდომას ინფორმაციაზე.

<sup>1</sup> <https://journals.muni.cz/cvp/article/view/15353/16697>

ეს ხელს უწყობს საბოლოო ბენეფიციარის იდენტიფიკაციას არა მხოლოდ სახელითა და გვარით, არამედ დამატებით პერსონალური მონაცემებით, როგორცაა მისამართი, საცხოვრებელი ქვეყანა, მოქალაქეობა და დაბადების თარიღი. აღსანიშნავია, რომ ღიად გამოქვეყნებული მონაცემები სამომავლოდ გარკვეული გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, განსაკუთრებით მართლმსაჯულების სასამართლოს (გრანტების პალატა) გადაწყვეტილების ფონზე

2022 წლის 22 ნოემბრის გაერთიანებულ საქმეში C-37/20 და C-601/20 WM (C-37/20) და Sovim SA (C -601/20) ლუქსემბურგის სამეწარმეო რეესტრის წინააღმდეგ. ამჟამად შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების დონეზე მიმდინარეობს დისკუსიები მონაცემთა გასაჯაროების მომავალზე.

**Register právnických osôb, podnikateľov a orgánov verejnej moci**

Vyhľadaf údaje v RPO  ✕

<b>IČO</b>	31817823
<b>Plné meno</b>	Transparency International Slovensko
<b>Adresa sídla</b>	Bajkalská 1496/25, 82101, Bratislava - mestská časť Ružinov, Slovenská republika
<b>Právna forma</b>	Združenie (zväz, spolok, spoločnosť, klub ai.)
<b>Dátum vzniku</b>	04.10.2002
<b>Predmet činnosti</b>	iné združenia
<b>Štatutárny orgán</b>	Iný štatutárny orgán Mgr.art. Michal Piško Coburgova ulica 2241/2, Trnava, Slovenská republika
<b>Oprávnenie konaf</b>	Mgr.art. Michal Piško, riaditeľ: V mene Transparency International Slovensko koná riaditeľ tak, že k názvu združenia pripojí svoje meno, označenie funkcie riaditeľa a podpis.
<b>Zdroj údajov</b>	
<b>Názov zdrojového registra</b>	Register občianskych združení
<b>Registrový úrad</b>	MV SR
<b>Registračné číslo</b>	VVS/1-900/90-16790
<b>Dátum aktualizácie údajov</b>	23.01.2024
<b>Zdroj údajov o štatistických kódoch</b>	
<b>Hlavná ekonomická činnosť</b>	94992 - Činnosti záujmových organizácií
<b>ESA2010</b>	15000 - Neziskové inštitúcie slúžiace domácnostiam
<b>Dátum aktualizácie štatistických kódov</b>	04.06.2021

[Zobrazíť históriu](#)

ŠTATISTICKÝ ÚRAD SLOVENSKEJ REPUBLIKY

Správca obsahu: Štatistický úrad SR | Technický prevádzkovateľ: Štatistický úrad SR  
English | Kontakty | Vyhlásenie o prístupnosti | Cookies | Pomoc (PDF 1,7 MB)

საერთაშორისო გამჭვირვალობის სლოვაკეთის ამონაწერი RPO SR-დან, ხელმისაწვდომია ყველასთვის სისტემაში შესვლის გარეშე.

# საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრი

ზემოაღნიშნული რეგულაციის გარდა, სლოვაკეთის რესპუბლიკას აქვს სპეციალური ინსტრუმენტი საბოლოო ბენეფიციარების იდენტიფიცირებისთვის, რომელიც ცნობილია როგორც საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრი (<https://rpvs.gov.sk/rpvs>). ეს რეესტრი ნომერი 315/2016 Coll-ის შესწორებული აქტის შესაბამისად შეიქმნა, რომელიც ფოკუსირებულია საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრზე.

ევროკავშირის კანონმდებლობისგან განსხვავებით, ამ კანონის მთავარი აზრი ემყარება საჯარო სახსრების მიმღებების იდენტიფიცირების აუცილებლობას, რაც მიზნად ისახავს საჯარო რესურსების ეფექტიანი გამოყენების გარანტირებას. იურიდიული პირების რეესტრისგან განსხვავებით, საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრში რეგისტრაცია ყველა სუბიექტისთვის სავალდებულო არ არის. მარტივად რომ ვთქვათ, მასში რეგისტრაციის მოთხოვნა ვრცელდება ექსკლუზიურად საჯარო სექტორიდან სახსრების მიმღებებზე (საჯარო სექტორის პარტნიორები), რომელთა ერთჯერადი სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 100,000 ევროს ან 250,000 ევროს განმეორებადი შესყიდვებისთვის. ბუნებრივია, ეს წესი რამდენიმე სამართლებრივ გამონაკლისს ითვალისწინებს. რეგისტრაციის პროცედურის მნიშვნელოვანი კომპონენტი მოიცავს საბოლოო ბენეფიციარების იდენტიფიცირებას სპეციალიზებული პროტოკოლის დაცვით. ფუნდამენტური საკითხი, რაც ამ აქტს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ღირეექტივაში ასახული პროცედურისგან განასხვავებს, მდგომარეობს იმაში, რომ ასახული მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებლობა გადადის სპეციალურად ამ საქმისთვის დანიშნულ პირზე, რომელიც ცნობილია

როგორც პასუხისმგებელი პირი. ეს შეიძლება იყოს იურისტი, ნოტარიუსი, აუდიტორი, საგადასახადო მრჩეველი ან ბანკი, რომლის ოფისიც რეგისტრირებულია სლოვაკეთის რესპუბლიკაში. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გამოიჩინოს პროფესიული კეთილსინდისიერება, როგორც ეს კონკრეტულად არის განსაზღვრული ამ კანონით, რათა დაადგინოს შესასწავლ საჯარო სექტორის პარტნიორთან დაკავშირებული საბოლოო ბენეფიციარი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხოლოდ რეგისტრირებული პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობა არასაკმარისია; ჩანაწერები პერიოდულად უნდა განახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავენ ვალიდურობას. ამ რეგულაციის საყურადღებო ასპექტს უნიკალური სანქციების მექანიზმი წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება მონაცემების არაზუსტად მოწოდების შემთხვევაში, რაც გავლენას ახდენს როგორც საჯარო სექტორის პარტნიორზე, ისე პასუხისმგებელ პირზე. გარდა ამისა, პირის რეესტრიდან ამოღებით, პირმა შეიძლება მის მიერ საჯარო წყაროებიდან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა დაკარგოს.

Aktuálne údaje

Zobrazit aj historické údaje | Stiahnuť výpis

Partner verejného sektora

Obchodné meno VÁHOSTAV - SK, a.s.  
ičo 31356648  
Právna forma Akciová spoločnosť  
Adresa sídla / miesto podnikania / bydliska Priemyselná 6, 82109 Bratislava, Slovenská republika  
Dátum zápisu 01.02.2017  
Dátum výmazu Nie je  
Číslo vložky 9678

Oprávnená osoba

Obchodné meno LEGAL GROUP, s.r.o.  
ičo 47237589  
Adresa sídla / miesto podnikania / bydliska Lomonosovova 2, 811 09 Bratislava - mestská časť Staré Mesto, Slovenská republika

Koneční užívatelia výhod

Meno a priezvisko	Dátum narodenia	Štátna príslušnosť	Adresa	Verejný funkcionár
Luděk Kostka	11.05.1965	Česká republika	Zahradní 418, 281 01 Velim, Česká republika	Nie
Doc. Ing. Michal Korecký Ph.D.	30.12.1969	Česká republika	Dukelská 783, 334 01 Přeštice, Česká republika	Nie

Verifikačný dokument (pdf) | Verifikačný dokument (pdf)

Verejní funkcionári v riadiacej štruktúre

Nenašli sa žiadne vyhovujúce záznamy

Oznámenie o overení konečných užívateľoch výhod

Dátum oznámenia 27.02.2024  
Dátum overenia 26.02.2024  
Typ overenia k 31. decembru kalendárneho roku

Udelené pokuty

Nenašli sa žiadne vyhovujúce záznamy

Kvalifikovaný podnik

Nenašli sa žiadne vyhovujúce záznamy

Dátum aktualizácie údajov 07.04.2024

Dátum výpisu 08.04.2024

საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი კომპანიის განცხადების  
მაგალითი Váhostav სლოვაკური RPVS-დან.

რეესტრი საჯაროდ ხელმისაწვდომია ონლაინ, რაც საშუალებას აძლევს ფართო საზოგადოებას, გაეცნოს პასუხისმგებელი პირების მიერ მომზადებულ გადამოწმების სრულ ოქმებს. ეს ოქმები აწვდის ინფორმაციას საჯარო სექტორის პარტნიორის საკუთრების სტრუქტურებში არსებული კონკრეტული ფენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ

რეგისტრაციის მოთხოვნა მხოლოდ ადგილობრივ იურიდიულ პირებს არ ეხება. ასევე აღსანიშნავია, ნებისმიერი მოქალაქის მიერ შესაბამის სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე შეყვანილი მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობის არსებობა.

## მონაცემთა შეფასების ნაკლებობა

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, სლოვაკეთის რესპუბლიკა იყენებს დახვეწილ მიდგომას საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრების იდენტიფიცირებისთვის, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს რა საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრის გარშემო არსებულ ინოვაციურ საკანონმდებლო ბაზაზე.

მიუხედავად ამისა, უწყვეტი ცვლილებები და განახლება აუცილებელია პრაქტიკული გამოყენებისას გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. ერთ-ერთი შესამჩნევი ნაკლი მონაცემების შეფასების სისუსტეა, რაც ავტომატური ე.წ. „წითელი დროშების“ არარსებობით გამოიხატება.

## სახელმწიფო შესყიდვები სლოვაკეთის რესპუბლიკაში

სახელმწიფო შესყიდვების პროცესი სლოვაკეთში სრულყოფილად რეგულირდება ნომერი 343/2015 Coll. შესწორებული აქტით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ეს კანონმდებლობა ადგენს შედარებით მოქნილ პროცედურას შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის, მეტ გამჭვირვალობასა

და მონაცემთა ხელმისაწვდომობას ეფექტიანი საჯარო ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, აქტის პრაქტიკაში განხორციელება ხშირად არ აკმაყოფილებს მოლოდინს, როგორც სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად მართვის, ისე შესყიდვების პროცესის დაჩქარების თვალსაზრისით. შესაბამისად, ხშირია პროცესების დაჩქარების მიზნით წარდგენილი ინიციატივები. თუმცა, ასეთმა ცვლილებებმა, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება პოტენციურად შეამციროს საჯარო ზედამხედველობის შესაძლებლობები, მაგალითად, სხვადასხვა კატეგორიის საჯარო კონტრაქტების სამართლებრივად განსაზღვრული ფინანსური ზღვრების შემცირებით.

ფინანსური ზღვრები გადამწყვეტ როლს თამაშობს შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. კანონი ხელშეკრულებების კატეგორიზებას ახდენს შესყიდვითი საქონლის ან მომსახურების ღირებულების მიხედვით. 10,000 ევროზე დაბალი ღირებულების კონტრაქტებისთვის, შემსყიდველი ორგანიზაცია სარგებლობს მოქნილობის მნიშვნელოვანი ხარისხით. ღირებულების მატებასთან ერთად, ელექტრონული საშუალებების გამოყენების ვალდებულება ხდება იმპერატიული, რაც

ხელს უწყობს ინფორმაციაზე ეფექტიან და ფართო წვდომას. ფინანსური ზღვრების მიუხედავად, შემსყიდველი ვალდებულია, ნებისმიერ ვითარებაში გააგრძელოს თავისი პროცედურების ეკონომიკურად და ზედმიწევნით დოკუმენტირება. მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დეტალები, შემაჯამებელი ანგარიშები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების ოფისის ცენტრალიზებულ პორტალზე (<https://www.uvo.gov.sk>) ქვეყნდება. ოფისი, „სახელმწიფო შესყიდვების

**ÚRAD PRE VEREJNÉ OBSTARÁVANIE**

Hľadaný výraz ... **HĽADAŤ**

vyhľadávanie v registroch...

O úrade | Verejný obstarávateľ/Obstarávateľ | Záujemca/Uchádzač | Dohľad | Metodika/Vzdelávanie | Otvorená komunikácia

Úvod > Vyhľadávanie > Vyhľadávanie zákaziek

**GYLOBÁLNE VYHĽADÁVANIE**  
**VYHĽADÁVANIE PROFILOV**  
**VYHĽADÁVANIE ZÁKAZIEK**  
**VYHĽADÁVANIE DOKUMENTOV**

**Vyhľadávanie zákaziek** < SPÄŤ

Názov zákazky:  
 Zadajte hľadaný text ... Všetky zákazky

**+ Rozšírené vyhľadávanie**

**HĽADAŤ** **VYČISTI FORMULÁR**

Názov zákazky	Názov obstarávateľa	Hlavné CPV	Hlavné NUTS	Aktualizácia
ROVNOŠATÝ A PRACOVNÉ ODEVY PRE ZAMESTNANCOV SLOVENSKEJ POŠTY, A.S. 2024-2026	Slovenská pošta, a.s.	Odevy	Banskobystrický kraj	08.04.2024
Nákup kancelárskych potrieb a kancelárskeho papiera	Pôdohospodárska platobná agentúra	Kancelárske potreby		08.04.2024
Jednotný metodický rámec	Ministerstvo investícií, regionálneho rozvoja a informatizácie Slovenskej republiky	Služby informačných technológií	Bratislavský kraj	08.04.2024
Kancelárske stoličky a kreslá	Sociálna poisťovňa, ústredie	Kancelársky nábytok	Bratislavský kraj	08.04.2024
Dodávka elektrickej energie	Základná škola	Elektrická energia		08.04.2024
Prestavba na bytový dom, Čaradice	Obec Čaradice	Stavebné práce na stavbe viacbytových budov a rodinných	Nitriansky kraj	08.04.2024

Možnosť vyhľadávania zákaziek na portáli slovenského Úradu pre verejné obstarávanie.

ბიულეტენზე“ ზედამხედველობის გარდა, მართავს ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც შესყიდვების განხორციელებას ეხება.

სლოვაკური მიდგომის გამორჩეული მახასიათებელი ყველა ისეთი კონტრაქტის (კონკრეტული გამონაკლისის გარდა) სავალდებულო გამოქვეყნებაა, რომელიც დადებულია საჯარო დაწესებულებების, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების ან სახელმწიფო მფლობელობის ელემენტების მქონე კომერციული კომპანიების მიერ (<https://www.crz.gov.sk>). ეს მოთხოვნა ვრცელდება ინვოისების და შეკვეთების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე. ეს მიდგომა უზრუნველყოფს საჯარო ზედამხედველობის ფართო შესაძლებლობას, რადგან კანონით გათვალისწინებული წესით ხელშეკრულებების გამოქვეყნების ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას. ეს ინსტრუმენტი საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა რამდენიმე მიზეზის გამო. ერთის მხრივ, ის უზრუნველყოფს აქტიური მოქალაქეების მიერ ინფორმაციაზე სწრაფ და ფართო წვდომას. ამავდროულად, ის აიძულებს საჯარო უწყებებს, გამოიყენონ

რესურსები ეფექტიანად და ეკონომიურად, რაც ხელს უწყობს ყველა შესრულებული ხელშეკრულების ადვილად მიკვლევადას. ამჟამად კონტრაქტები ქვეყნდება ერთიან ვებგვერდზე და ბოლო ცვლილებამ გააფართოვა ეს ვალდებულება იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებმაც ადრე ამ დოკუმენტებს საკუთარ ვებგვერდებზე აქვეყნებდნენ. ეს ცვლილება მიზნად ისახავდა გამჭვირვალობის და კანონის პოტენციური გვერდის ავლის პრობლემების მოგვარებას. თუმცა, გაჩნდა დამატებითი გამოწვევები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მცირე მუნიციპალიტეტები შეგნებულად ცრუობდნენ, თითქოს არ ჰქონდათ საკუთარი ვებგვერდები, რითაც მათზე ახალი სამართლებრივი ვალდებულება ვეღარ ვრცელდებოდა. სახელმწიფო შესყიდვების აქტი სლოვაკეთის რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრებით აღებულ ვალდებულებებს აერთიანებს. შესაბამისად, კონტრაქტები, რომლებიც მიეკუთვნება ევროპული კონტრაქტების კატეგორიას, ეროვნულ საკომუნიკაციო არხებთან ერთად, ასევე ქვეყნდება ევროპულ ბიულეტენში.

The screenshot displays the CRZ SR website interface. At the top, there is a navigation bar with the CRZ logo and various utility links. Below this, a search bar and a menu are visible. The main content area features a search form with fields for recipient, contract name, and other details. Below the form, a section titled "Zmluva o poskytnutí dotácií z rozpočtu mesta" is shown. This section contains two tables: "Dátum" (Date) and "Identifikácia zmluvy" (Contract Identification). The "Dátum" table lists key dates: signing (08.04.2024), closing (08.04.2024), validity (09.04.2024), and expiration (31.12.2024). The "Identifikácia zmluvy" table provides details such as contract type (Zmluva), number (118/2024), resort (Subject of external affairs), and the contracting party (ŠPORTOVÝ KLUB MESTA - KARATE KLUB Mierová 1391/20, Stará Ľubovňa, 06401). It also lists the provider (Mesto Stará Ľubovňa - primátor mesta) and the contract value (7,700.00 €). A "Cenové plnenie" (Price fulfillment) section at the bottom shows the contract value and total price.

Zmluva o dotácií uzatvorená medzi mestom a športovým klubom zverejnená na CRZ SR.

# თბილისში გამართული მრგვალი მაგიდის შემდეგ ჩამოყალიბებული დასკვნები

სახელმწიფო შესყიდვებისა და საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრების იდენტიფიკაციის საკითხებში ექსპერტთა და არაკომერციული სექტორის წარმომადგენლების თბილისში გამართულმა სამუშაო შეხვედრამ გააჩინა ამ თემებზე ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობები.



საქართველოს პერსპექტივიდან, სლოვაკეთის მიდგომა საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციის კუთხით შთაგონების პოტენციური წყარო შეიძლება იყოს. ეს მიდგომა არა მხოლოდ პრიორიტეტს ანიჭებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ და ანტიტერორისტული ევროპული რეგულაციების იმპლემენტაციას, არამედ ასევე იყენებს შიდა გამოცდილებას სახელმწიფო სახსრების გამოყენების ეფექტური კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

**მრგვალი მაგიდის დინამიკები**

თბილისში - მარჯვნიდან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენელი ალექსანდრე ქვეციშვილი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა სლოვაკეთის“ იურისტი იან ივანიჩიკი და ანტიმონოპოლიური ოფისის კარტელების დეპარტამენტის დირექტორი იურაჟ სირნი.



საქართველო და სლოვაკეთი კორუფციის მსგავსი პრობლემის წინაშე დგანან, რასაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსის მიგნებები მიუთითებს. უახლეს გამოცემაში საქართველომ გლობალურად 49-ე ადგილი დაიკავა და სლოვაკეთს მხოლოდ ორი ადგილით ჩამორჩება, რომლისთვისაც ეს ისტორიაში ყველაზე მაღალი ადგილია. როგორც თბილისში გამართულ საექსპერტო სამუშაო შეხვედრაზეც გამოიკვეთა, ამ ქვეყანაში სახელმწიფო სახსრების გამოყენებისა და იმ პირების, ვინც უშუალოდ სარგებლობს სახელმწიფოსთან ურთიერთობით, გამოვლენის ცხადი პრობლემა არსებობს. რა თქმა უნდა, პრაქტიკის ნებისმიერი

განვითარების მიზნით პირველი ნაბიჯი შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაა. ეს უნდა ეფუძნებოდეს ბენეფიციარი მესაკუთრის განსაზღვრებას, რომელიც ერთგვაროვანია მთელ კანონმდებლობაში. საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის ერთ-ერთ კანდიდატ ქვეყანას, უახლოეს მომავალში მოუწევს განიხილოს აღნიშნული ცნების შემოღება. სლოვაკეთის კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ეფუძნება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ევრო დირექტივას. პრაქტიკაში ზემოხსენებულ სისტემას აქვს მთელი რიგი პრობლემები, რომელთაგან აღსანიშნავია ეკონომიკური სარგებლის ზღვრების განსაზღვრის საკითხი, ან პირის პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტროლი.

ამჟამად ამისთვის დადგენილი არის მფლობელობის 25%, და წილების მიზანმიმართული ფრაგმენტაციით რიგი ფიზიკური პირები, რომლებიც რეალურად მონაწილეობენ იურიდიული პირის საქმიანობაში, ადვილად შეიძლება გამოირიცხონ საჯარო ზედამხედველობიდან. პოტენციური გამოსავალი უფრო მკაცრი ზღვრების დაწესებაა, რითაც კანონის გვერდის ავლა უფრო რთული გახდება. პრაქტიკაში ასევე რთულია არაკომერციული ორგანიზაციების საკუთრების სტრუქტურა, რომლებშიც საბოლოო ბენეფიციარებად ძირითადად ამ სუბიექტების სახელით მოქმედი უფლებამოსილი პირები არიან რეგისტრირებული. თუმცა, აქ ჩვენ მივდივართ მონაცემების გადამოწმებისა და სლოვაკეთის გამოცდილების პოტენციური გაზიარების საკითხთან. საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრი, რომელიც მოითხოვს რეგისტრაციას არა იურიდიული პირის არსებობის საფუძველზე, არამედ საჯარო დაწესებულებასთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, ამ მხრივ უაღრესად ეფექტიანი ინსტრუმენტი აღმოჩნდა. ამდენად, საქმე ეხება არა მხოლოდ გრანტის ან სუბსიდიის ხელშეკრულებებს, არამედ ნებისმიერ კონტრაქტს სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან და კანონით დაფუძნებულ ან საჯარო ხელისუფლების მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტებთან ან იურიდიულ პირებთან. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია ხელშეკრულებების გამოქვეყნების სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის შემოწმდეს, არის თუ არა საჯარო სექტორის პარტნიორი რეგისტრირებული. სამართლებრივი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მთავარი სტიმულია საკანონმდებლო დებულება, რომელიც არ იძლევა ხელშეკრულების გაფორმების საშუალებას იმ პირებთან, რომლებიც ექვემდებარებიან რეგისტრაციის ვალდებულებას და არ შეასრულებენ მას. ამ მიზეზით ნორმატიული ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც მიიღეს სახსრები სახელმწიფოსგან 100 000

ევროს ოდენობით - ერთ ტრანზაქციაში ან 250 000 ევროს - განმეორებით გარიგებაში. ზემოაღნიშნული ვალდებულებიდან არსებობს მთელი რიგი გამონაკლისები (მაგ. ეროვნული ან უცხოური სახელმწიფო ორგანოებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ბანკებისთვის და ა.შ.). შესაბამისი შეზღუდვების არჩევანი, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე და სლოვაკეთში ზემოაღნიშნული პარამეტრი ასევე პროფესიული დებატების საგანია. შესაბამისად, მონაცემთა გადამოწმების სისტემა და სანქციების მექანიზმი მნიშვნელოვანია თავად რეესტრის სანდოობისთვის. წინა პლანზე გამოდის სარეგისტრაციო პროცედურის მინდობა საჯარო სექტორის პარტნიორის გარდა სხვა სუბიექტისთვის (ანუ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დამდებ პირთან). სლოვაკეთის რესპუბლიკის პირობებში, ესენი არიან სლოვაკეთში მოქმედი ადვოკატები, ნოტარიუსები, ბანკები, აუდიტორები და საგადასახადო მრჩეველები, ან უცხოელი პირები, რომლებსაც აქვთ იგივე უფლებამოსილება. ამ პირთა წრე უნდა განიხილებოდეს ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით და სათანადოდ გაფართოვდეს ან დავიწროვდეს. კერძოდ, გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მიერ დანიშნული პირების ან სხვა რეგულირებადი იურიდიული თუ ეკონომიკური პროფესიების შემოწმების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული პირები (ე.წ. უფლებამოსილი პირები) პასუხისმგებელნი არიან თავიანთი საქმიანობის განხორციელებაზე სპეციალიზებული პროფესიული ზრუნვით. კანონმდებლობის თანახმად, ისინი ვალდებულნი არიან დაეყრდნონ არა მხოლოდ კლიენტის (ანუ საჯარო სექტორის პარტნიორის) მიერ წარდგენილ დოკუმენტებს, არამედ პროაქტიულად გამოავლინონ და მოითხოვონ სხვა დოკუმენტები, რომლებიც გამოავლენს ფიზიკურ პირებს - საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეებს. ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ის ჯარიმები, რომლებიც შეიძლება დაწესდეს არა მხოლოდ საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეებზე, არამედ ბენეფიციარებზე რეესტრში არასწორი

ჩანაწერების შემთხვევაში. ძირითადი სანქცია არის ჯარიმა, რომელიც ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უფლებამოსილი პირის პროფესიულ რეპუტაციაზე. ბენეფიციარი მესაკუთრეებისთვის ყველაზე მკაცრი სანქციაა რეესტრიდან ამორიცხვა, რაც გულისხმობს სახელმწიფოსთან ხელშეკრულებების დადების შეუძლებლობას და ეს სანქცია ვრცელდება არსებული ხელშეკრულებების შესრულებაზეც. ამავდროულად, სანქციები შეიძლება დაწესდეს საჯარო დაწესებულების მიმართაც, სანქციის სახით დაწესებულებისთვის ან სამართალდარღვევის სახით იმ პირისთვის, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო დაწესებულების სახელით ვალდებულებების შესრულებაზე. ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, შეიტანოს საჩივარი კანონის შესრულებლობის გამო, რომლის განხილვის უფლებამოსილება სლოვაკეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ერთ კონკრეტულ სასამართლოს აქვს. სამართალდარღვევებს რაიონული ოფისების შესაბამისი განყოფილებები ადგენენ. შესაბამისად, რეგისტრირებისა და საფასურის გადახდის ვალდებულება ეკისრება საჯარო სექტორის პარტნიორს. ეს უკანასკნელი მოტივირებულია, დარეგისტრირდეს, რადგან იგი სახელმწიფოსგან იღებს მნიშვნელოვან სახსრებს, ხოლო რეგისტრაციის გარეშე ვერ შეძლებს სახელმწიფოსთან ვაჭრობას ან მისგან მხარდაჭერის მიღებას. სლოვაკეთის მიდგომას ასევე აქვს კერძო სექტორის სტიმულირების უპირატესობა, რადგან საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიცირება აჩვენებს, სახელმწიფო კონტრაქტებს შერჩეულ პირებთან მათი კავშირების გამო ხომ არ დებს. ამიტომ სარეგისტრაციო საფასურის გადახდა უფრო მისაღებია ბაზრის იმ მოთამაშეებისთვისაც, რომლებსაც ეძლევათ შესაძლებლობა უფრო ეფექტიანი კონკურენცია გაწიონ საჯარო კონტრაქტების მოსაპოვებლად. რეესტრის ფუნქციონირების არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტია მისი ღიაობა, მათ შორის ისტორიული ჩანაწერები და დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა გასაჯაროების ვალდებულება უფლებამოსილ



პირს აკისრია. რეესტრი ყოველწლიურად უნდა განახლდეს. სისტემა ასევე კარგად მუშაობს მედია საშუალებების საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიცირებაზე, რომელთაც ეს ვალდებულება საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების შესაძლებლობების გამო ეკისრებათ. ვინაიდან საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრის მენეჯმენტი არ ასრულებს ევროპული კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მასზე გავლენა იქონიოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ღირექტივაში ან მის შემდგომ პრევენციულ სამართალში შეტანილმა ცვლილებებმა. თუმცა, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, სლოვაკეთის პრაქტიკაში არსებული პრობლემებიდან სათანადო დასკვნები გამოიტანოს. პირველი არის პოტენციური რისკების ავტომატური შეფასების აუცილებლობა (ე.წ. „წითელი დროშების“ მეშვეობით), განსაკუთრებით საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრებში არსებული დარღვევების შემთხვევაში ან როდესაც ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ოფშორებში ან სხვა საექსპო ადგილებში დაფუძნებული. ასევე გაუმჯობესების რესურსი არსებობს საჯარო თანამდებობის პირების საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციის კუთხით. ამ მხრივ სლოვაკეთში ფაქტობრივად არ არსებობს ასეთ ადამიანებთან დაახლოებული პირების და მათი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში მითითებული ინფორმაციის დადარების შესაძლებლობა. ამავდროულად, საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრი მოიცავს ქვეყანაში მოქმედი კომპანიების მხოლოდ ნაწილს. განხილვას იმსახურებს ამ ვალდებულების გავრცელების იდეა პირთა უფრო ფართო სპექტრზე, დაწესებული სარეგისტრაციო გადასახადის ეფექტიანობის გაზრდის გზით, რითაც შესაძლებელი გახდება მეტი საჯარო ზედამხედველობა არამხოლოდ იმ სუბიექტებზე, რომლებიც იღებენ სახსრებს საჯარო წყაროებიდან. თუმცა, ასეთი პირებისთვის შეიძლება შედარებით ნაკლები ვალდებულება დაწესდეს, მაგალითად, მათ მონაცემთა განახლება უფრო იშვიათად მოუწიოთ.



მრგვალი მაგიდის მონაწილეები სამთავრობო უწყებებიდან, დონორი ორგანიზაციები და არაკომერციული სექტორი.

ასევე მიზანშეწონილია მონაცემთა და სანქციების ვალდებულებების დაკავშირება კომერციულ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულებებთან.

სამუშაო შეხვედრამ ასევე გამოკვეთა გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვებში კარტელური შეთანხმებების იდენტიფიცირების სფეროში. ამ მხრივ, კარგი პრაქტიკის გაზიარება შესაძლებელია ორივე მიმართულებით, რადგან საქართველოს აქვს ელექტრონიზაციის მნიშვნელოვანი დონე სახელმწიფო შესყიდვებში, რაშიც სლოვაკეთი ჩამორჩება.




# საზოგადოებრივი წესდამხედველობისა და მთავარი ანტიკორუფციული აქტორის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში

ამ პროექტის მიზანია გაზარდოს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის გამჭვირვალობა საქართველოში, ასევე აამაღლოს მისი მოქალაქეების ინფორმირებულობა და ჩართულობა იმის გათვალისწინებით თუ რამდენად დაბალია იმ კერძო კომპანიების გამჭვირვალობა, რომლებიც სშირად რეგისტრირებულნი არიან ოფშორებში, მიუკვლევადი საკუთრების სტრუქტურებით. ამიტომ, პროექტის გრძელვადიანი მიზანია, ხელი შეუწყოს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნას. პროექტის მთავარი აქტივობა ტურისტული ობიექტების რეალური მფლობელების საპილოტე რუქის შექმნაა სახელწოდებით „ვის ეკუთვნის საქართველო“, რომელიც შთაგონებულია Kto Vlastní Slovensko პორტალით, რომელიც 2021 წელს ამოქმედდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - სლოვაკეთის“ მიერ.

რუკა ასევე მიბმული იქნება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ არსებულ პორტალებთან, რაც საშუალებას მისცემს ობიექტების მფლობელების დადარებას სახელმწიფო შესყიდვების ან პოლიტიკური შემოწირულობების შესახებ მონაცემებთან. პორტალების ქსელი გაზრდის ჟურნალისტების, აქტივისტების და საზოგადოების ინფორმირებულობასა და კომპანიის მფლობელობისა და საჯარო რესურსების გამოყენების თემების შესახებ ცნობიერებას. პორტალის Tendermonitor.ge განახლება, რომელიც ადრე მხარდაჭერილი იყო SlovakAid-ის მიერ, გაზრდის მის მდგრადობას და შესაძლებელს გადის სახელმწიფო ტენდერების შესახებ

მონაცემების უფრო დეტალურ ანალიზს. ამავდროულად, რუკა „ვის ეკუთვნის საქართველო“ წახალისებს სამართლიან ბიზნეს პრაქტიკასა და ეთიკური შესყიდვების იდეას, რადგან მომხმარებელს შეეძლება, მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია ტურიზმისა და სხვა ინდუსტრიების ობიექტების მფლობელობის შესახებ. სლოვაკეთში განხორციელებული მსგავსი პროექტის პოზიტიური გამოცდილებიდან გამომდინარე, პროექტს ასევე აქვს მეორადი მიზანი, რომელიც პარტნიორი ორგანიზაციის მოხალისეთა ქსელის გაძლიერებასა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.







**„საქართველოში მთავარი ანტიკორუფციული აქტორის  
საზოგადოებრივი ზედამხედველობისა და შესაძლებლობების  
გაძლიერების“ პროექტი 2023 წლის სექტემბრიდან – 2025 წლის  
ივლისის პერიოდში სლოვაკეთის რესპუბლიკის განვითარების  
ოფიციალური დახმარების სახსრებიდან განხორციელდება.**

---





# Exploring Ownership and Public Procurement Transparency in Georgia and Slovakia





This paper delves into the legislative landscape surrounding Ultimate Beneficial Owners identification and the transparency of public procurement tenders in Slovakia and Georgia.

---

It stands as a foundational component of a broader initiative undertaken by Transparency International Slovakia and Transparency International Georgia, supported by SlovakAid. The overarching aim is to elevate transparency in the management of public funds expenditures. Serving as a precursor to today's discussion, the analysis furnishes participants with a detailed overview of national control mechanisms and legal frameworks.

The insights garnered during the discussion will be integrated into an expanded version of this study, and the comprehensive publication will be disseminated to all participants and stakeholders. Therefore, we invite the speakers to engage in our exploration of ownership and public procurement transparency, as we collectively strive for informed reforms and the promotion of best practices in the pursuit of heightened integrity and accountability.

Alexander Kevkhishvili,  
Ján Ivančík

---

April 2024

# Beneficial Ownership Transparency in Georgia

**Currently, Georgia does not have a beneficial ownership register. Creation of such a register is crucial for anti-corruption monitoring purposes for several reasons:**

---

- \* A significant portion of the country's critical infrastructure is owned through offshore companies with unknown Ultimate Beneficial Owners (UBOs).
- \* The Government frequently gives public procurement contracts and licenses / permits of various kinds to companies with unknown UBOs, which facilitates the strengthening of kleptocratic networks.
